7. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის (მისი შემადგენელი ნაწილების) შემუშავების პროცედურას, ვადების და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს განისაზღვრავს ქ. თბილისის მერის მიერ.

მუხლი 3. მიზნობრივი პროგრამა

1. მიზნობრივი პროგრამა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების წინასწარ შემუშავებულ გეგმას. მიზნობრივი პროგრამა (პროგრამები) წარმოადგენს ქ. თბილისის ბიუჯეტის ფორმირების საფუძველს.

2. მიზნობრივი პროგრამის შემუშავება მიზნად ისახავს ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდას.

3 მიზნობრივ პროგრამებს ამზადებენ ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები, რაიონული გამგეობები და ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა მხარჯავი დაწესებულებები ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საკუთარი უწყებრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით.

4. მიზნობრივი პროგრამა შედგენილი უნდა იქნეს დანართი 1-ის შესაბამისად.

5. მიზნობრივი პროგრამაში ცვლილების განხორციელება ხდება ქ. თბილისის საკრებულოს მიერ, თუ ეს ცვლილება არ შეესაბამება თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს. სხვა შემთხვევაში შეცვლილი მიზნობრივი პროგრამა მტკიცდება ქ. თბილისის მთავრობის მიერ.

მუხლი 4. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესრულების ანგარიში

1. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ანგარიშის წარმოება ხორციელდება მასში შემავალი მიზნობრივი პროგრამების შესრულების ანგარიშის მომზადების სახით.

2. მიზნობრივი პროგრამის შესრულების ანგარიში არის ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობებისა და ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა მხარჯავი დაწესებულებების მიზნობრივი პროგრამების შესრულების (შესრულების მიმდინარეობის) პერიოდული საანგარიშგებო დოკუმენტი.

3. მიზნობრივი პროგრამის შესრულების ანგარიში მზადდება კვარტალურად და წლიურად.

4. მიზნობრივი პროგრამის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიში დგება №2 და №3 დანართებში მოცემული ფორმების შესაბამისად.

5. მიზნობრივი პროგრამის შესრულების წლიური ანგარიში ქ. თბილისის მთავრობის მიერ წარედგინება ქ. თბილისის საკრებულოს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს ორი თვის განმავლობაში. მიზნობრივი პროგრამის შესრულების კვარტალური ანგარიშები - ქ. თბილისის საკრებულოს შესაბამის კომისიას საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებისა და შესრულების ანგარიშის მომზადებისათვის

1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებასა და მისი შესრულების ანგარიშის სწორად და დადგენილ ვადებში მომზადებაზე პასუხისმგებელია ქ. თბილისის მთავრობა.

ქ. თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის წლიური განაცხადის ფორმა

პროგრამის განმახორციელებაზე პასუხისმგებელი მბარჯველი ერთეულის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდება

პროგრამის აქტუალობა

სფერო, რომელსაც ეხება პროგრამა											
ჯანმრთელობა		სოციალური უზრუნველყოფა		ჯანმრთელობა		სპორტი		კულტურა		განათლება	
ტრანსპორტი		უსაფრთხოება		ინფრასტრუქტურა		ეკონომიკის ხელშეწყობა		სხვა (მიუთითეთ)			

პროგრამის აღწერა

პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება	ექსკლუზიური		დელეგირებული		ნებაყოფლობითი	

პროგრამის ლოკალიზაცია
მიუთითეთ აღგილი (რაიონი, ქუჩა, ა.შ.), სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი. ამ პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს ისიც, თუ პროგრამას არ გააჩნია კონკრეტული ლოკალიზაცია.

კავშირი სხვა პროგრამებთან

პროგრამის გავლენა მომავალი წლის ბიუჯეტზე	გაზრდის		შეამცირებს		არ მოახდენს გავლენას	

პროგრამის სტატუსი:	ერთწლიანი		მრავალწლიანი		ახალი		გაგრძელება		მოდერნიზაცია	

პროგრამის განხორციელების ვადები			
დაწყება:	თვე, 20__ წელი	დასრულება:	თვე, 20__ წელი

პროგრამის მიზნები წლების მიხედვით და მათ განსახორციელებლად საჭირო თანხები			
წელი[1]	მიზანი	თანხა სულ	მ.შ. ქალაქის ბიუჯეტიდან (პროცენტი)
-1			
0			
1			
2			
3			
4			
დანარჩენი			
პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი			

საბიუჯეტო წლის ამოცანები და მათ განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებები			
ამოცანა 1.		ღონისძიება 1.1	
		...	
		ღონისძიება 1.X.	
ამოცანა 2.		ღონისძიება 2.1.	
		...	
		ღონისძიება 2.X.	
...		...	
ამოცანა N.		ღონისძიება N.1.	
		...	
		ღონისძიება N.X.	

საბიუჯეტო წლის ღონისძიებების განხორციელების გრაფიკი												
ღონისძიება \ თვე	01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
ღონისძიება 1.1												
...												
ღონისძიება N.X.												

პროგრამის ბიუჯეტი წყაროების მიხედვით									
№	წყარო	თანხა სულ	თანხები წლების[1] მიხედვით						
			-1	0	1	2	3	4	დანარჩენი
ა	ქალაქის ბიუჯეტი								
ბ	სახელმწიფო ბიუჯეტი								
გ	გრანტი								
დ	სახელმწიფო კრედიტი								
ე	კერძო კრედიტი								
ვ	კერძო ინვესტიცია								
ზ	სხვა (მიუთითეთ)								
	სულ								

საბიუჯეტო წლის ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო თანხები											
ღონისძიება №	დასახელება	ხარჯები		არაფინანსური აქტივები		ფინანსური აქტივები		ვალდებულებები		ჯამი:	
		თანხა[3]	წყარო[2]	თანხა[3]	წყარო[2]	თანხა[3]	წყარო[2]	თანხა[3]	წყარო[2]	თანხა[3]	წყარო[2]
1.1											
...											
N.X.											
სულ ხარჯი:											

პროექტის განხორციელების შემდეგ მიღებული სარგებელი	
ეკონომიკური	აღინიშნოს რიგით წაიდგება პროგრამა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას
სოციალური	(ცვლილებები, რომელსაც) პროგრამა გამოიწვევს ქალაქში სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით
ეკოლოგიური	პროგრამის ზეგავლენა ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე
სხვა	პროგრამით მიღებული სხვა დადებითი ეფექტები

დამატებითი ინფორმაცია

| შეტყობინება: | | |

დანართი №2

ქ. თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის კვარტალური ანგარიშის ფორმა

პროგრამის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი მხარჯველი ერთეულის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდება

პროგრამის სტატუსი:	ერთწლიანი		მრავალწლიანი		ახალი		გაგრძელება		მოდერნიზაცია	

პროგრამის განხორციელების დაზუსტებული ვადები			
დაწყება:	თვე, 20__ წელი	დასრულება:	თვე, 20__ წელი

პროგრამის ლოკალიზაცია
მიუთითეთ ადგილი (რაიონი, ქუჩა, ა.შ.), სადაც განხორციელდა საჭშაოები. ამ პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს ისიც თუ პროგრამას არ გააჩნია კონკრეტული ლოკალიზაცია.

პროგრამის საანგარიშო პერიოდის ბიუჯეტი წყაროების მიხედვით						
№	წყარო	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული გეგმა	ფაქტობრივად მიღებული დაფინანსება	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	სხვაობა
1	2	3	4	5	6	5-6
ა	ქალაქის ბიუჯეტი					
ბ	სახელმწიფო ბიუჯეტი					
გ	გრანტი					
დ	სახელმწიფო კრედიტი					
ე	კერძო კრედიტი					
ვ	კერძო ინვესტიცია					
ზ	სხვა (მიუთითეთ)					
	სულ					

საანგარიშო პერიოდში ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯები											
ღონისძიების №	დასახელება	ხარჯები		არაფინანსური აქტივები		ფინანსური აქტივები		ვალდებულებები		სულ	
		ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	3+5+7+9	4+6+8+10
1.1											
...											
N.X.											
სულ ხარჯი:											

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის განხორციელების შედეგ მიღებული სარგებელი	
ეკონომიკური	უნდა აღინიშნოს თუ როგორ წაადგა პროგრამა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას
სოციალური	ცვლილებები, რომელიც გამოიწვია პროგრამამ ქალაქში სოციალური ვითარების თვალსაზრისით
ეკოლოგიური	პროგრამის ზეგავლენა ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე
სხვა	პროგრამით მიღებული სხვა დადებითი ეფექტები

დამატებითი ინფორმაცია			
შემსები:		დამტკიცებულია:	
სახელი, გვარი		სახელი, გვარი	
თანამდებობა		თანამდებობა	
საკონტაქტო მონაცემები:			
ტელეფონი	ელ-ფოსტა	(ხელმოწერა, ბეჭდი)	
		თარიღი	

შენიშვნა: ფორმა ივსება ყოველკვარტალურად ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან

ქ. თბილისის ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის წლიური ანგარიშის ფორმა

პროგრამის განხორციელებისათვის პასუხისმგებელი მხარჯველი ერთეულის სახელწოდება

პროგრამის სახელწოდება

სფერო, რომელსაც ეხება პროგრამა													
ჯანმრთელობა		სოციალური უზრუნველყოფა		ეკონომიკა		სპორტი		კულტურა		განათლება			
ტრანსპორტი		უსაფრთხოება		ინფრასტრუქტურა		ეკონომიკის ხელშეწყობა		სხვა (მიუთითეთ)					

კავშირი სხვა პროგრამებთან

პროგრამის გავლენა მომავალი წლის ბიუჯეტზე		გაზრდის		შეამცირებს		არ მოახდენს გავლენას	

პროგრამის სტატუსი:		ერთწლიანი		მრავალწლიანი		ახალი		გაგრძელება		მოდერნიზაცია	

პროგრამის განხორციელების ვადები			
დაწყება:	თვე. 20__ წელი	დასრულება:	თვე. 20__ წელი

პროგრამის ლოკალიზაცია
ტერიტორიული ერთეული (რაიონი, ქალაქი, ა.შ.), სადაც განხორციელდა სამუშაოები. ამ პუნქტში აღნიშნული უნდა იყოს ისიც თუ პროგრამას არ გააჩნია კონკრეტული ლოკალიზაცია.

წლის მიზნები და ამოცანები			
მიზანი 1.		ამოცანა 1.1	
		...	
		ამოცანა 1.X.	
მიზანი 2.		ამოცანა 2.1.	
		...	
		ამოცანა 2.X.	
...		...	
მიზანი N.		ამოცანა N.1.	
		...	
		ამოცანა N.X.	

წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები და მიღებული შედეგები				
№	ღონისძიება	შედეგები		
		№	დაგეგმილი	განხორციელებული
1.		შედეგი 1.1		
		...		
		შედეგი 1.X.		
2.		შედეგი 2.1.		
		...		
		შედეგი 2.X.		
...		...		
N.		შედეგი N.1.		
		...		
		შედეგი N.X.		

წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების გრაფიკი და თვეების მიხედვით დახარჯული თანხები												
ღონისძიება \ თვე	01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
ღონისძიება 1.1												

...												
ღონისძიება N.X.												

პროგრამის წლიური ბიუჯეტი წყაროების მიხედვით						
№	წყარო	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული გეგმა	ფაქტობრივად მიღებული დაფინანსება	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	სხვაობა
1	2	3	4	5	6	5-6
ა	ქალაქის ბიუჯეტი					
ბ	სახელმწიფო ბიუჯეტი					
გ	გრანტი					
დ	სახელმწიფო კრედიტი					
ე	კერძო კრედიტი					
ვ	კერძო ინვესტიცია					
ზ	სხვა (მიუთითეთ)					
	სულ					

საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაფინანსებული ღონისძიებები											
ღონისძიება №	დასახელება	ხარჯები		არაფინანსური აქტივები		ფინანსური აქტივები		ვალდებულებები		სულ	
		ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი	ფაქტობრივად მიღებული	ღონისძიებაზე გაწეული ხარჯი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	3+5+7+9	4+6+8+10
1.1											
...											
N.X											
სულ ხარჯი:											

წლის განმავლობაში პროგრამის განხორციელების შემდეგ მიღებული სარგებელი	
ეკონომიკური	უნდა აღინიშნოს თუ როგორ წაადგა პროგრამა ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას
სოციალური	ცვლილებები, რომელიც გამოიწვია პროგრამამ ქალაქში სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით
ეკოლოგიური	პროგრამის ზეგავლენა ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე
სხვა	პროგრამით მიღებული სხვა დადებითი ეფექტები

დამატებითი ინფორმაცია

შემსები:		დამტკიცებულია:	
სახელი, გვარი		სახელი, გვარი	
თანამდებობა		თანამდებობა	
საკონტაქტო მონაცემები:			
ტელეფონი	ელ-ფოსტა	(ხელმოწერა, ბეჭდი)	
		თარიღი	

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის საბაზო დოკუმენტის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საშუალოვადიანი სამუშაო გეგმა.

სამუშაო გეგმა მოიცავს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტებს (პროგრამები/ღონისძიებებს) დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მე-13 მუხლის მოთხოვნით ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში ასახული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტები გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების ფორმირებისას.

თბილისის მერიის დებულების 21-ე მუხლის თანახმად განვითარების პრიორიტეტები, თბილისის განვითარების არსებული დონის ანალიზსა და განვითარების პროგრამებთან (სამოქმედო გეგმა) ერთად არის თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემადგენელი ნაწილი.

თავის მხრივ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა თბილისის მერიის დებულების 22-ე მუხლის თანახმად არის ბიუჯეტის პროექტის შედგენის საფუძველი.

სამოქმედო გეგმის დაფინანსების განმარტავ პროექტებს ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამები წარმოადგენს, რომლებიც დგება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისა და მიმართულებების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების, დედაქალაქის განვითარების პრიორიტეტებითა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენის და ანგარიშგების წარმოების ერთიანი, განახლებული ინსტრუქცია.

3.3.3.2

01/23/11- 4510
13.04.2009

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს
ბატონ დავით კერესელიძეს

ბატონო დავით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №154 დადგენილების შესაბამისად, გეგზავნებათ „ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენის და შესრულების ანგარიშის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-14 გადაწყვეტილება (10 ფურცელზე).

ამასთან, გაცნობებთ, რომ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მიზნობრივ პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ხდება ქ. თბილისის საკრებულოს მიერ, თუ ეს ცვლილება არ შეესაბამება თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს, ხოლო სხვა შემთხვევაში შეცვლილი მიზნობრივი პროგრამა მტკიცდება ქ. თბილისის მთავრობის მიერ.

გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის თანახმად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა მტკიცდება ქ. თბილისის საკრებულოს მიერ, ხოლო მიზნობრივი პროგრამა, ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, შეცვლილი მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილებაც ქ. თბილისის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს.

პატივისცემით,

13.04.09

დიმიტრი ძაგნიძე

მინისტრის მოადგილე

13.04.09

ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, თავისუფლების მოედანი 2, ტელ.: 98 29 32; 93 38 58
2, TAVISUPLEBIS SQUARE, 0105 TBILISI, GEORGIA, TEL.: (+995 32) 98 29 32; 93 38 58

№ 06-1/169 „03" აპრილი 2009 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციოდ გეგზავნებათ „ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენის და შესრულების ანგარიშის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-14 გადაწყვეტილება.

დანართი: 5 ეგზემპლიარად (მათ შორის ერთი დედანი) და დისკეტა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

364

03 04 2009 წ.
№ 01/20-2152

ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 4-14

„27“ მარტი 2009წ

14 04 2009
190.020.020.36 101.012.993

ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების
პროგრამის შედგენის და შესრულების ანგარიშის წარმოების
ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

დედაქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის ხელშეწყობის, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ეფექტიანობის ამაღლებისა და მიზნობრივი პროგრამების შედგენის, ანგარიშების წარმოებისა და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენის და შესრულების ანგარიშის წარმოების თანდართული ინსტრუქცია.

2. ქ. თბილისის 2010 და შემდგომი წლების ბიუჯეტის ყველა ხარჯი წარმოდგენილ იქნეს მიზნობრივი პროგრამის სახით, ცარცა მხარჯავი დაწესებულების, ადმინისტრაციული სახის (საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით) ხარჯებისა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული და დაბა ყვირილის) მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის №4-1 გადაწყვეტილება.

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ხაალ სამადაშვილი

დანართი
დამტკიცებულია
ქ.თბილისის საკრებულოს
2009 წლის 27 მარტის
№4-14 გადაწყვეტილებით

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენის და შესრულების ანგარიშის წარმოების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ", „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის დებულების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობებისა და ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სხვა მხარჯავი დაწესებულებების ანგარიშვალდებულებისა და მათი საქმიანობის გამჭვირვალეობის გაზრდის მიზნით.

2. ინსტრუქცია განსაზღვრავს ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის და მასში შემავალი მიზნობრივი პროგრამის შედგენის და შესრულების ანგარიშების წარმოების წესს.

მუხლი 2. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი

1. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი დგება დედაქალაქის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საქალაქო პროგრამების (გეგმების) გათვალისწინებით.

2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი მოიცავს თბილისის:

ა) თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებული დონის ანალიზს;

ბ) თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს;

გ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებიდან გამომდინარე მიზნობრივ პროგრამებს.

3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას თან ერთვის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების დასაგეგმისშემდგომი სამი წლის პრიორიტეტები და შესაბამისი ღონისძიებები (სამოქმედო გეგმა).

4. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტზე მუშაობა იწყება საბიუჯეტო პროცესის პარალელურად, ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ათი თვით ადრე.

5. შემუშავების შემდეგ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს განიხილავს ქ. თბილისის მთავრობა.

6. ქ. თბილისის მთავრობის მიერ მოწონებული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის პროექტი, ბიუჯეტის პროექტთან ერთად, ქ. თბილისის მერის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება ქ. თბილისის საკრებულოს.